Αν παρακολουθήσουμε στη χρονολογική τομή, την κλίμακα της διδασκαλίας της νέας ελληνικής γλώσσας στα σχολεία της Γεωργίας θα παρατηρήσουμε ότι από το 1997 μέχρι σήμερα ο αριθμός των σχολείων όπου διδάσκεται η νεοελληνική γλώσσα αυξήθηκε με επτά μονάδες. Αν από την αρχή μόνο 12 δάσκαλοι έπαιρναν μέρος στο πρόγραμμα "Η νεοελληνική γλώσσα στα σχολεία της Γεωργίας", σήμερα στην πορεία της διδασκαλίας παίρνουν μέρος 22 δάσκαλοι, 1612 μαθητές μαθαίνουν τη γλώσσα, απ'αυτούς μόνο 96 μαθητές έχουν ελληνική καταγωγή, Γεωργιανοί είναι 744 και άλλης εθνικότητας 272 μαθητές. Αυτός ο δείκτης ακόμα μια φορά αποδεικνύει ότι το ενδιαφέρον για τα νεοελληνικά μεγαλώνεται. Χάρι στις γνώσεις, την εργατικότητα και επιμέλεια των δασκάλων που παίρνουν μέρος σ'αυτό το πρόγραμμα όλο και περισσότερα σχολεία ζητούν να διδάσκεται εκεί η νεοελληνική γλώσσα. Οι δάσκαλοι μπόρεσαν να προκαλέσουν μεγάλο ενδιαφέρον για τη νεοελληνική γλώσσα και τον νεοελληνικό πολιτισμό γενικά. Ελπίζω, ότι τα στοιχεία που διαθέτουμε εμείς προς το παρόν δε θα μείνουν χωρίς προσοχή των αρμοδίων υπηρεσιών τόσο στην Ελλάδα όσο και στη Γεωργία. Πίστεύω, ότι η διδασκαλία της νεοελληνικής γλώσσας έχει προοπτική. Με τη συμπαράσταση των δύο χωρών αυτό το έργο θα επεκτείνεται στο μέλλον.

ნაოზრეცისტიკის პრობლემები და პირსაქმიანობები
საქართველოში

გლობალიზაციისა და საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის ეპოქაში ნეოგრეცისტიკა, როგორც დარგი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დადგა ახალი პერსპექტივების ძიების აუცილებლობის წინაშე. საქართველოში ნეოგრეცისტიკის პერსპექტივებზე ფიქრისას გადავწყვიტე მომეძია, თუ როგორ ხედავდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებსა და ნეოგრეცისტიკის განყოფილებებზე ამ დარგის პერსპექტივას. სტუდენტთა მოზიდვის მცდელობისას ფილოლოგიის ამ დარგის მესვეურნი სხვადასხვა ქვეყანაში მეტად თუ ნაკლებად საერთო არგუმენტებს ასახელებენ და ნეოგრეცისტიკის მსგავს პერსპექტივებზე საუბრობენ.

(აქ მხედველობაში მაქვს არა საბერძნეთის უნივერსიტეტები, არამედ ევროპის, ამერიკისა და ავსტრალიის უმაღლეს სასწავლებელთა გამოცდილება).

უნივერსიტეტების უმრავლესობა აქცენტს ინტერდისციპლინარულ სწავლებასა და ინტერდისციპლინარულ სასწავლო კურსებზე აკეთებს, ანუ სტუდენტებზე, რომლებსაც ერთზე მეტი სპეციალობა აქვთ არჩეული და, შესაბამისად, ახალი ბერძნული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, პოლიტიკის, კულტურისა და ხელოვნების ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა სარბიელზე შეძლებენ.

ნეოგრეცისტიკა მეცნიერების ახალი დარგია და ის მთელი თანამედროვე ბერძნული სამყაროს შესწავლას მოიცავს – ბერძნული დიასპორის ჩათვლით. ნეოგრეცისტიკის შემსწავლელი, ალბათ ჩვენც უნდა გავუკეთოთ აქცენტი არა მხოლოდ ფილოლოგიაზე, არამედ სხვა დარგებზეც, სადაც წარმატებით გამოადგებოდათ ნეოგრეცისტიკაში მიღებული ცოდნა. ეს დარგებია, კერძოდ: ანთროპოლოგია, არქიტექტურა, ხელოვნების ისტორია, კლასიკური ფილოლოგია, ეკონომიკა, პედაგოგიკა, კინოხელოვნება, ფოლკლორი, ისტორია, ენა, ლინგვისტიკა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, თეატრმცოდნეობა და, აგრეთვე, გენდერული სწავლებები.

ნეოგრეცისტიკის კვლევის სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ საბერძნეთის ტერიტორიით, არამედ მოიცავს მთელ იმ არეალს, სადაც ბერძნული კულტურაა გავრცელებული. ეს არეალი კი საკმაოდ ფართოა, ვინაიდან ბერძნული კულტურა წარმოდგენილია მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში, აგრეთვე მახლობელ აღმოსავლეთში, ამერიკასა და ავსტრალიაში.

რატომ უნდა აირჩიონ სტუდენტებმა ახალი ბერძნული ფილოლოგია? ამ რიტორიკულ შეკითხვაზე სხვადასხვა უნივერსიტეტის ნეოგრეცისტებს ასეთი პასუხი აქვთ: ბერძნული ფილოლოგიის ცნებაში შედის ენა, ისტორია, ხელოვნება, ფილოსოფია, ფილოლოგია – ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც შეიძლება გავრცელდეს განათლების მეშვეობით, ის, რასაც ზოგადად ბერძნული კულტურა ენოდება. ნეოგრეცისტიკის პერსპექტივებზე მსჯელობისას ხაზგასმულია, რომ ახალი ბერძნულის ცოდნა მნიშვნელოვანი იქნება და გამოადგებათ არა მარტო ფილოლოგებს, არამედ ისეთ სფეროებში მომუშავეთაც, როგორცაა მედიცინა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკა, საჯარო სამსახური. ახალი ბერძნულის თარჯიმნებსა და მთარგმნელებს შეუძლიათ იმუშაონ სასამართლოებში, სამედიცინო დაწესებულებებში, ტელე-რადიო მაუწყებლობასა და მასმედიის სხვა საშუალებებში და ა.შ.

აი, ნეოგრეცისტიკის სასარგებლოდ ყველაზე ხშირად მოყვანილი არგუმენტები:

ახალ ბერძნულად 11 მილიონზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს;

ახალი ბერძნული ენა ძველი, კლასიკური ბერძნულის გაგრძელებას, ევოლუციას წარმოადგენს და ამავდროულად ძველზე უფრო ადვილია, ვინაიდან სალაპარაკო, ცოცხალი ენაა;

მდიდარია თანამედროვე ბერძნული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი პოეზია. ბერძნებს 2 ნობელის პრემიის ლაურეატი პოეტი ჰყავთ;

ბერძნული ენის ლექსიკა საერთოა მრავალი სხვა ევროპული ენისათვის, ვინაიდან ამ ენებში ბერძნულიდან შევიდა, მაგ. იდეა, პრობლემა, პარადიგმა და მრავალი სხვა;

მსოფლიოს სხვადასხვა ენის სამეცნიერო და ტექნიკურ ტერმინთა დიდი ნაწილი ბერძნულ სიტყვათა ძირებს ეყრდნობა;

ახალი ბერძნული ევროკავშირის ერთ-ერთი ოფიციალური ენაა.

სტუდენტს, რომელიც ახალ ბერძნულს აირჩევს, ექნება მრავალი უპირატე-
სობა, მათ შორის:

უკეთ გაიგებს ძველ ბერძნულ ისტორიას, ცივილიზაციას, არქეოლოგიასა
და ფილოსოფიას, კინაიდან ამ მეცნიერებათა საუკეთესო წილი ბერძნულ
ტრადიციასა და ცივილიზაციაზე არის აღმოცენებული;

ჩვენს ქვეყანასა და საბერძნეთს დიდი კულტურული ურთიერთობები
აკავშირებს, რასთან ზიარებასაც სტუდენტი ბერძნული ენის შესწავლით
უკეთ შეძლებს;

სტუდენტს ეძლევა შანსი განაგრძოს სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე
საბერძნეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში;

სტუდენტმა შესაძლოა მიიღოს სტიპენდია საზაფხულო კურსებისათვის
საბერძნეთში, რათა გაიღრმავოს ენის ცოდნა;

კურსდამთავრებულს შეეძლება ასწავლოს ბერძნული ენა საშუალო
სკოლებში;

ისეთი ნაკლებად გავრცელებული ენის ცოდნა, როგორც ახალი ბერძნუ-
ლია, დამჭირავებელთა მიერ გამოჩნეულად არის მიჩნეული.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მხოლოდ ამგვარი სარეკლამო
განცხადებებით შეიძლებოდა სტუდენტთა მოზიდვა ნეოგრეცისტიკის
სპეციალობაზე, მით უმეტეს კი იმ აზრისაგან, რომ დღევანდელ დღეს
საქართველოში სხვადასხვა ფაკულტეტისა თუ სპეციალობის მრავალმა
სტუდენტმა ზედმინევით წარმატებით გამოიყენოს ნეოგრეცისტიკაში
მიღებული ცოდნა ჰუმანიტარულ და არაჰუმანიტარულ სპეციალობათა
ფართო სპექტრში, თუმცა, ალბათ გარკვეულწილად გასაზიარებელია ინ-
ტერდისციპლინარული სწავლების გამოცდილება, რაზეც დღესდღეობით
მთელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტი უნივერსიტეტი გადადის.

ნეოგრეცისტიკის, როგორც დარგის პრობლემები საქართველოში დღეი-
სათვის რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. საუნივერსიტეტო
დონეზე ესაა შემდეგი:

ზოგადად სტუდენტთა რიცხვის კლება უმაღლეს სასწავლებლებში, რაც
პირდაპირპროპორციულად აისახა ნეოგრეცისტიკის განყოფილების
სტუდენტთა რაოდენობაზე (ა. მ. თუ ყოველწლიურად განყოფილებაზე
საშუალოდ 15-20 სტუდენტს ვიღებდით, ნელს 1 კურსზე 8 სტუდენტი
გვყავს);

უკანასკნელ წლებში სტუდენტთა მზარდი ინტერესი ეკონომიკის, ბიზნესის, მართვის, კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალობებისადმი, რაც ამ სპეციალობებზე მზარდი სამუშაო ადგილებით და, ფილოლოგიასთან შედარებით, მაღალი ანაზღაურებით არის განპირობებული;

პუბანიტარულ ფაკულტეტზე სტუდენტების მოზღვავება ანგლისტიკის სპეციალობაზე, რაც იმით არის განპირობებული, რომ ნებისმიერ სამსახურში ასაყვანად კანდიდატს ინგლისურის ცოდნას სთხოვენ. სტუდენტებს ექმნებათ მცდარი შთაბეჭდილება, რომ სპეციალობად ანგლისტიკის არჩევის შემთხვევაში უფრო იოლად იშოვიან სამსახურს;

მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მსურველთათვის უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსების მნიშვნელოვანი შემცირება, ხოლო სწავლების გადასახადის სწრაფი ზრდა, რაც ნეოგრეცისტიკის სფეროში სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვს საგრძნობლად ამცირებს.

დღევანდელი განათლების რეფორმის პირობებში სავარაუდო და შესაძლებელია შეიქმნას ინტერდისციპლინარული პროგრამები რომლებიც მოიცავდა ახალი ბერძნული ენის, ლიტერატურის, კულტურის, ისტორიისა და პოლიტიკის სფეროებს.

ინტერდისციპლინარული მიდგომით მეცნიერები ცდილობენ სხვადასხვა მეცნიერებების მეშვეობით გამოიკვლიონ სხვადასხვა პრობლემა თუ საკითხი, რაც ადრე მხოლოდ ერთი და კონკრეტული დისციპლინის შესწავლის საგნად ითვლებოდა. ინტერდისციპლინარული სწავლება გვთავაზობს, საკითხები განვიხილოთ ისეთი დისციპლინების ერთდროული გამოყენებით, როგორცაა მაგ. ისტორია და ლიტერატურა. ამას შეიძლება დამატოს ლინგვისტიკის, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის "მორგება" ერთმანეთზე, ანუ ამ დისციპლინების ერთობლიობისა ან ზოგიერთი მათგანის გამოყენება ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას.

ჩვენი დარგის განვითარებისათვის საჭიროა თანამშრომლობა ნეოგრეცისტიკის საკითხებზე მომუშავე ლინგვისტებს, ლიტერატურისა და კულტურის სპეციალისტებს, ისტორიკოსებსა და სოციოლოგებს შორის. ნეოგრეცისტიკის, როგორც დისციპლინის პერსპექტივა ინტერდისციპლინარული განვითარების შემთხვევაში გაცილებით გაიზრდება.

ამგვარი ინტერდისციპლინარული კურსები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აპრობირებულია ევროპისა და ამერიკის მთელ რიგ უნივერსიტეტებში. სა-

ქართველოშიც ინტერდისციპლინარული კურსები და სპეციალობები, მართალია ჯერ განვითარების საწყის ეტაპზეა, თუმცა საერთო ტენდენცია აშკარად მათ მომავალ პერსპექტივაზე და განვითარებაზე მიუთითებს.

ა. მ. წელს ჩვენს სპეციალობაზე რეგისტრირებული რვა პირველკურსელი სტუდენტიდან ყველას ორმაგი სპეციალობა აქვს არჩეული და არც ერთის არჩევანი არ ემთხვევა. ეს ორმაგი სპეციალობებია:

1. ახალი ბერძნული და მენეჯმენტი
2. ახალი ბერძნული და ეკონომიკა
3. ახალი ბერძნული და ფილოსოფია
4. ახალი ბერძნული და ქართული ფილოლოგია
5. ახალი ბერძნული და ესპანური ფილოლოგია
6. ახალი ბერძნული და იტალიური ფილოლოგია
7. ახალი ბერძნული და ტურიზმი
8. ახალი ბერძნული და პედაგოგიკა.

სამომავლოდ ნეოგრეცისტიკის მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის აუცილებელია ინტერდისციპლინარული სწავლების განვითარება და ამ მიზნით:

ა) 1 სემესტრიანი (5 კრედიტიანი) სასწავლო კურსების შემუშავება (ახალი ბერძნული ენის ცოდნის წინაპირობის გარეშე) არასპეციალისტებისათვის, როგორცაა:

- 1) ბერძნული კინოხელოვნება
- 2) ბერძნული სიმღერა და ფოლკლორი (ფოლკლორისტებისათვის)
- 3) ბერძნული სოციალური ანთროპოლოგია
- 4) ბერძნული წეს-ჩვეულებები (ეთნოგრაფებისათვის)
- 5) თანამედროვე ბერძნული კულტურა
- 6) ბალკანეთის / ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა და საზოგადოება

7) ანტიკური რეცეფციები თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში და სხვ.

ბ) დაფინანსების მოძიება სტუდენტთა საზაფხულო კურსებისათვის საბერძნეთში.

გ) საჯარო სკოლის მოსწავლეთა უფრო აქტიური გაგზავნა საზაფხულო კურსებზე საბერძნეთში, რაც გარკვეულწილად გააღვიძებს მათ ინტერესს საბერძნეთის მიმართ (ჩვენი სტუდენტების საკმაო პროცენტი სწორედ სკოლაში სწავლობდა ბერძნულს და ამის გამო ჩააბარა ამ სპეციალობაზე)

დ) თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ენის სწავლებისას ელექტრონული რესურსების გამოყენების მიზნით მასწავლებელთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლა (და ამ კურსების ორგანიზება).

დღესდღეობით ენის სწავლების მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა, ვითარდება ელექტრო რესურსებითა და მედია საშუალებებით უცხო ენების (და არა მარტო უცხო ენების) სწავლების მეთოდოლოგია. მედია საშუალებები, რომლებსაც დღეს ვიყენებთ სალექციო კურსებზე, ესაა აუდიოკასეტები (ენის ნიგნების), კინოფილმები – საბერძნეთის ისტორიისა და ბერძნული ლიტერატურის ლექციებზე. თუმცა ეს საკმარისი არ არის, აუცილებელია პირველ რიგში პროფესორ – მასწავლებელთა ინფორმირება და ტრენინგი ელექტრონული რესურსების ფართოდ ათვისებისა და გამოყენების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სტუდენტთა ინტერესსა და სწავლის შედეგს.

ამასთანავე, აუცილებელია მოვიპოვოთ რესურსები სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამების ფინანსური მხარდაჭერისათვის – ვინაიდან, წლებანდელი სასწავლო წლიდან ჩვენს უნივერსიტეტში საგრძნობლად შემცირდა იმ მაგისტრანტ სტუდენტთა რიცხვი, რომელთაც უნივერსიტეტი აფინანსებს (ფინანსდება მთელი უნივერსიტეტის მაგისტრანტთა 10 %, სადაც ცალკეული სპეციალობებისათვის არ არის გამოყოფილი ადგილების კონკრეტული რაოდენობა), ხოლო მომავალი წლიდან დოქტორანტურა სავარაუდოდ მხოლოდ ფასიანი იქნება. ამგვარ პირობებში, ნეოგრეცისტიკის განხრით მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის მსურველთათვის თუ არ გამოინახა დაფინანსების გზები, შესაძლოა სტუდენტთა ნაკადის საგრძნობი შემცირება.

რაც შეეხება ნეოგრეცისტიკის, როგორც დარგის პერსპექტივებს, მისი ორი მიმართულებით – კერძოდ ახალი ბერძნული ფილოლოგიისა და ინ-

Ανι Τσικοβάνι

ΠΡΟΒΛΗΜΑΤΑ ΚΑΙ ΠΡΟΟΠΤΙΚΕΣ ΤΩΝ ΝΕΟΕΛΛΗΝΙΚΩΝ ΣΠΟΥΔΩΝ ΣΤΗ ΓΕΩΡΓΙΑ

Στη σημερινή εποχή της παγκοσμιοποίησης και των μεταρρυθμίσεων της εκπαίδευσης οι Νεοελληνικές σπουδές σε όλο τον κόσμο αντιμετωπίζουν κάποιου είδους προβλήματα. Η χώρα μας δεν είναι εξαίρεση. Προβλήματα των Νεοελληνικών Σπουδών στο Κρατικό Πανεπιστήμιο Τιφλίδας είναι:

I. Μείωση του αριθμού των φοιτητών που οφείλεται

στον αυστηρό περιορισμό του αριθμού των φοιτητών στη Γεωργία γενικά από το Υπουργείο Παιδείας και Επιστημών,

στο αυξανόμενο ενδιαφέρον των φοιτητών προς τις ειδικότητες όπως διαχείριση, οικονομία, πληροφορική κ.α. που εξηγείται από τον μεγαλύτερο αριθμό εργατικών θέσεων και την πολύ υψηλότερη αμοιβή στους εργαζομένους σ' αυτούς τους τομείς,

στον απίστευτα μεγάλο αριθμό φοιτητών της Φιλοσοφικής Σχολής που εγγράφονται στην αγγλική φιλολογία (από τους 700 πρωτοετείς φοιτητές οι 400 εξέφρασαν την επιθυμία να εγγραφούν στα αγγλικά). Εφ' όσον για τις περισσότερες εργατικές θέσεις στη Γεωργία οι εργοδότες απαιτούν την γνώση των αγγλικών, οι φοιτητές έχουν την ψευδαίσθηση, ότι έχοντας σπουδάσει την αγγλική φιλολογία θα βρουν πολύ πιο εύκολα τη δουλειά,

Στον περιορισμό χρηματοδότησης των σπουδών στα επίπεδα των Μεταπτυχιακών Σπουδών και των Διδακτορικών Προγραμμάτων από το Πανεπιστήμιο και στην ταυτόχρονη αύξηση των διδάκτρων, γεγονός που αισθητά περιορίζει τον αριθμό των φοιτητών που επιθυμούν να συνεχίσουν τις σπουδές τους στο Μεταπτυχιακό επίπεδο.

II. Περιορισμός των θέσεων στα θερινά προγράμματα για τους φοιτητές μας

Προς το παρόν ο αριθμός των υποτροφιών έχει μειωθεί ουσιαστικά σε σχέση με τα προηγούμενα χρόνια, διότι τα περισσότερα Ιδρύματα προσφέρουν παρακολούθηση θερινών μαθημάτων έναντι αμοιβής (π.χ. στο Αριστοτέλειο Πανεπιστήμιο Θεσσαλονίκης, στο Πανεπιστήμιο Ιωαννίνων, στο Πανεπιστήμιο Κρήτης κ.α.), που είναι αδύνατο να τον καλύψουν οι φοιτητές μας.

Για τις καλύτερες προοπτικές των Νεοελληνικών Σπουδών απαιτείται:

προώθηση των ελληνικών στα σχολεία, διότι ένας σημαντικός αριθμός των φοιτητών μας έρχεται από τα σχολεία όπου έχουν διδαχθεί ελληνικά (όπου και έχει γεννηθεί το ενδιαφέρον τους για τα ελληνικά),

ανεύρεση περισσότερων υποτροφιών για τους φοιτητές, που θα τους έδινε τη δυνατότητα να επισκεφτούν την Ελλάδα για θερινά προγράμματα της ελληνικής γλώσσας και του ελληνικού πολιτισμού.

επαγγελματική κατάρτιση και εξειδίκευση των δασκάλων και των καθηγητών των Νεοελληνικών στην χρήση των πιο σύγχρονων μεθόδων διδασκαλίας μέσω του (ντερνετ και των ηλεκτρονικών μέσων (νέα εργαλεία στη διδασκαλία),

προώθηση των διεπιστημονικών σπουδών, που καλύπτουν δύο ή περισσότερους επιστημονικούς τομείς, έτσι ώστε να προσελκύσουμε φοιτητές διάφορων ειδικοτήτων να ασχοληθούν με τα ελληνικά. Για τον σκοπό αυτό οργάνωση και προετοιμασία των σειρών μαθημάτων διάρκειας ενός ή δύο εξαμήνων (5 ή 10 credits ECTS¹) για τους μη νεοελληνιστές ειδικούς όπως:

α) Ο ελληνικός κινηματογράφος,

β) Η ελληνική λαογραφία, δημοτικό τραγούδι,

γ) Ελληνική κοινωνική ανθρωπολογία,

¹ ECTS The European Credit Transfer and Accumulation System. Το ECTS είναι το ευρωπαϊκό σύστημα μεταφοράς και αναγνώρισης διδακτικών μονάδων, δομημένο πάνω στην προτεραιότητα των φοιτητικών αναγκών.

δ) Τα ελληνικά ήθη και έθιμα (για εθνογράφους),

ε) Σύγχρονος ελληνικός Πολιτισμός

ζ) Η Πολιτική και η κοινωνία στις Βαλκανικές/ Μεσογειακές χώρες

στ) Παρουσία αρχαίου ελληνικού πολιτισμού στη σύγχρονη ελληνική λογοτεχνία,

Η εξέλιξη των Νεοελληνικών Σπουδών προς δύο κατευθύνσεις – 1. του ανεξάρτητου κλάδου της Νεοελληνικής Φιλολογίας και 2. των Διεπιστημονικών Σπουδών (συνδυασμός του κλάδου των νεοελληνικών σπουδών με άλλες επιστήμες) θα ήταν η καλύτερη προοπτική των Νεοελληνικών Σπουδών στην χώρα μας.

ბერძნულ ცივილიზაციასთან ზიარება ბერძნული ენის
სწავლავის საშუალებით

ტერმინი ცივილიზაცია, მისი კლასიკური გაგებით, რომელიმე საზოგადოებრივი ერთეულის მიღწევებს ნიშნავს შემოქმედების სხვადასხვა სფეროში, როგორცაა მაგალითად ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია, თეატრი, ლიტერატურა, რელიგია, ტექნოლოგია, საზოგადოებრივი წყობა თუ უბრალოდ ამ საზოგადოების ცხოვრების დონე. ამ კლასიკურ განმარტებას ჰერდერის შემოთავაზებით, რაც საზოგადოებათმცოდნეებმა და ანთროპოლოგებმაც გაიზიარეს, დაემატა კიდევ ერთი ელემენტი, რაც გარკვეულწილად სრულყოფს ცივილიზაციის გაგებას და განმარტავს, რომ ცივილიზაცია (ამ შემთხვევაში ცივილიზაციის სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს კულტურა) ერთი რომელიმე კონკრეტული საზოგადოების ნევრთა აზროვნებისა და ქცევის განსაკუთრებულობას ნიშნავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა კონკრეტული საზოგადოების მსოფლმხედველობის გამოხატულება.¹

ცივილიზაციასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტთან მჭიდრო კავშირშია ენა, რამეთუ ენობრივი გარსის გარეშე წარმოუდგენელია ცივილიზებული საზოგადოების არსებობა. ისევე როგორც კულტურები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მსოფლმხედველობრივად, ასევე განსხვავდებიან ენებიც. სხვადასხვა ენა მოვლენებს უბრალოდ ბერობრივად განსხვავებული სიტყვებით ერთგვარად კი არ გადმოგვცემს, არამედ ამ მოვლენის თავისებურ აღქმასა და გააზრებას გვთავაზობს. ყოველი ენობრივი ჯგუფის ან ერის მსოფლმხედველობა, შეხედულებები, ისტორიული გამოცდილება ენაში ილექება და ამ ენის ლექსიკურ მარაგზე აისახება.²

ზემოთქმულიდან გამომდინარე ერთი ქართული ანდაზა გვახსენდება, რომელიც ამბობს: "რამდენი ენაც იცი, იმდენი კაციც ხარო" და ვრწმუნდებით, რომ ეს ხალხური სიბრძნე სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს, რადგან თუკი

¹ Lyons J., Εισαγωγή στη Γλωσσολογία, 320, Αθήνα 1995.

² Αθανάσιος Μ., Η Ευρωπαϊκή κουλτούρα μέσα από τη διδασκαλία της ελληνικής γλώσσας, Γλώσσα και λογοτεχνία στην εκπαίδευση, 295, Αθήνα 2001.

ენა ცივილიზაციის განუყრელი ნაწილია და უფრო მეტიც, ამ ცივილიზაციის ხასიათის გამომხატველიც, მაშასადამე ყოველი ახალი ენის შესწავლა ახალი კულტურის გაცნობასა და მასთან მჭიდრო კავშირის დამყარებას ნიშნავს. ენის შესწავლით უფრო ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები ხდება ამ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების შემოქმედებითი მიღწევები და ისტორიული თავგადასავალი, ამ საზოგადოების ცივილიზაცია.³

უცხო ენის შესწავლასთან დაკავშირებით სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მეთოდებით ხელმძღვანელობდნენ. კლასიკური შეხედულებით ენის სწავლების ხერხემალი ამ ენის გრამატიკული სისტემის საგულდაგულო შესწავლას გულისხმობს, თუმცა თანამედროვე სამყაროში გარკვეულ ღირებულებათა გადაფასებისა თუ უბრალოდ გლობალიზაციის რიტმის აჩქარების შედეგად უცხო ენის შესწავლამ დაკარგა ის მნიშვნელობა, რაც მას ადრე ჰქონდა და უბრალოდ განათლებული ადამიანის იმიჯის შექმნას ემსახურებოდა და ახალი უფრო პრაქტიკული ღირებულება შეიძინა; ენა ყოველდღიურ საკომუნიკაციო საშუალებად იქცა და ამდენად თანამედროვე ენათმეცნიერებამ ენის სწავლების მეთოდიკაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. აქტუალობა არ დაუკარგავს გრამატიკის სწავლებას, თუმცა ენის გაკვეთილებზე მნიშვნელოვანი ადგილი ლექსიკის გაღმავებასა და გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებულმა სავარჯიშოებმა დაიკავა. როგორც ინგლისელი ენათმეცნიერი ვილკინსი ამბობს "გრამატიკის გარეშე ძალიან ცოტას ვგებულობთ, ლექსიკის გარეშე კი საერთოდ ვერაფერს".⁴

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ თანამედროვე ენის გაკვეთილზე დიდი დრო ეთმობა ლექსიკის შესწავლას, ლექსიკაში კი თავის მხრივ ამ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების ცივილიზაციის თავისებურებანია დალექილი, მაშასადამე ენის გაკვეთილზე შესაძლებელია მოსწავლე ახალ კულტურასაც ეზიაროს. ეს განსაკუთრებით ხელსაყრელია იმ შემთხვევაში, როდესაც ახალ სამყაროსთან ურთიერთობა, მხოლოდ ენის გაკვეთილებით ამოინურება და არ ითვალისწინებს ენის, ლიტერატურის, ისტორიის კომპლექსურ სწავლებას.

ლექსიკის საშუალებით ცივილიზაციასთან ზიარება განსაკუთრებით ადვილად მისაღწევია ბერძნული ენის გაკვეთილებზე, რამეთუ ეს ენა თითქმის 30 საუკუნის განმავლობაში მუშავდებოდა და მდიდრდებოდა სხვადასხვა მოაზროვნის მიერ და ამ ენაში ხანგრძლივი პერიოდის კულტურულ

³ შდრ. Μπαπινιώτης Γ., Η πράκλιση της πολυγλωσσίας, εφημ. Το Βήμα, 29.04.01.

⁴ Wilkins D. A., Linguistics in Language Teaching, London, Arnold 1972.

ლი თუ ისტორიული გამოცდილებაა დაღეკილი. მეთოდი ძალზედ მარტივია, თუმცა მასწავლებლის მუდმივ ჩარევასა და მზადყოფნას გულისხმობს. ახალი სიტყვისა თუ იდიომატური ფრაზის სწავლებისას მასწავლებელს შეუძლია ამ ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიის გადმოცემით მრავალი საინტერესო ამბავი გააცნოს მოსწავლეებს ბერძენი ერის ცხოვრებისა და შემოქმედების სფეროდან. ამგვარი მიდგომა გაკვეთილსაც უფრო საინტერესოს ხდის და მოსწავლეებსაც უადვილებს შესასწავლი მასალის დაძლევას. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიყვან:

მაგალითად ისეთი სიტყვების სწავლებისას, როგორებიცაა ο έρπας, η εστία, το ηφαίστειο, τα εσπεριόειδη და ა. შ. სასურველი იქნება არა მხოლოდ ამ სიტყვების ქართული მნიშვნელობის მიწოდება, არამედ მათთან დაკავშირებული მცირე მითოლოგიური ექსკურსის ჩატარებაც. ის, რომ სიტყვა έρπας სილამაზის ქალღმერთ აფროდიტეს ვაჟის სახელს უკავშირდება, ის, რომ სიტყვა εστία ძველ ბერძნულ მითოლოგიაში კერის მფარველ ქალღმერთს ერქვა, ის, რომ ვულკანმა სახელწოდება ბერძნულ ენაში ზევსის მჭედელი ვაჟის სახელისაგან მიიღო და ვულკანი მისი სამჭედლოს ცეცხლთან გაიგივდა, ის, რომ ციტრუსოვანთა ბერძნული დასახელება შესპერიდთა სახელგანთქმული ბალის სახელისაგან მოდის, სადაც უხვად იყო ამგვარი ხილის ხეები, ვფიქრობ, ძალზედ დაინტერესებთ მოსწავლეებს.

ბერძნული სამყაროს ცხოვრების სხვადასვა ეტაპთანაა დაკავშირებული ცალკეული სიტყვები. მაგალითად სიტყვა κοινός. ჩვეულებრივ მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ ეს სიტყვა მიახლოებას ნიშნავს, თუმცა ალბათ უფრო სახალისო გახდება ამ სიტყვის სწავლა, თუ კი გვეცოდინება რომ ძველად ბრძოლისას ფართოდ გამოიყენებოდა შუბი რაც ბერძნულად ასე უღერს – κοινός, და იმისათვის რომ მოინახლმდეგე შუბით განეგმირათ საჭირო მანძილზე მიახლოება იყო საჭირო, საიდანაც წარმოიშვა ზმნა κοινός, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობაც შუბის მანძილზე მიახლოება იყო.

საინტერესო ეტიმოლოგია აქვს დღევანდელი ათენის ერთ-ერთ უმთავრეს უბან Κηφισιά-ს. ადრე ათენიდან მოშორებულ ამ ადგილს ერქვა Αλανάρι და სახელგანთქმული იყო თავისი სიმწვანით. უამრავი სახეობის ხე ზაფხულობით იქაურობას ათენის სიცხით განამებული მოსახლეობისათვის მინიერი სამოთხის მნიშვნელობას სძენდა, თუმცა იმის გამო რომ 1865 წლამდე ეს ვრცელი ტერიტორია არავის საკუთრებას არ წარმოადგენდა,

იქ თავისუფლად დანავარდობდნენ სხვადასხვა ბანდიტური დაჯგუფებები და იქაურობას საშიშს ხდიდნენ. მიტომაც ათენელები გულდანყვევით იმეორებდნენ ხოლმე $\epsilon\kappa\epsilon\iota$ $\varphi\upsilon\sigma\alpha$, რაც ნიშნავს იქ ნიავე უბერავსო და დროთა განმავლობაში ამ ადგილის ძველი სახელი ყველამ მიივიწყა და სიტყვათა შერწყმით ახალი სახელწოდება მივიღეთ.

ცალკეული ტექსტის სწავლებისას შეიძლება სხვადასხვა იდიომატური გამოთქმა შეგვხვდეს, მისი ახლანდელი მნიშვნელობა ადვილად გასაგები იყოს, თუმცა ხშირ შემთხვევაში მისი წარმომავლობაც ინფორმაციულად ძალზედ საინტერესო აღმოჩნდეს. ასე, მაგალითად გამოთქმა $\acute{\epsilon}\chi\epsilon\iota$ $\kappa\alpha\iota$ $\tau\omicron\upsilon$ $\pi\omicron\varsigma\lambda\iota\omicron\upsilon\tau$ $\tau\omicron$ $\gamma\acute{\alpha}\lambda\alpha$ – ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ უდიდეს კუნძულ სამოსს უკავშირდება, რომელიც ძველ და ბიზანტიური პერიოდის საბერძნეთშიც ცნობილი იყო მისი მდიდარი და ნაყოფიერი ბუნებით. იმდენად, რომ ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, უცოდველთა სულები იქ სახლდებიან გარდაცვალების შემდეგო. მრავალი პოეტი უმღეროდა ამ კუნძულს და მათ შორის მენანდრეც, რომელმაც ამ ნაყოფიერებისათვის ხაზი რომ გაესვა თქვა " $\kappa\alpha\iota$ $\omicron\rho\upsilon\iota\theta\mu\alpha\nu$ $\varphi\acute{\epsilon}\rho\epsilon\iota$ $\gamma\acute{\alpha}\lambda\alpha$ " და ეს გამოთქმა შემოგვრჩა მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე.

ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგად გაბატონებულ ფრანგთა მმართველობის პერიოდში იღებს სათავეს გამოთქმა $\varphi\eta\tau\iota\nu\alpha$ $\tau\eta$ $\gamma\lambda\upsilon\tau\acute{\omega}\sigma\alpha\mu\epsilon$. უმჭიმეაი გადასახადები დააკისრეს ბერძნებს ფრანგებმა და თუკი ვინმე დაიგვიანებდა გადახდას, მაშინვე ციხეში უკრავდნენ ხოლმე თავს, რამდენიმე დღეში კი პერიფერიის მმართველის წარმომადგენელი პატიმარს ან სამუდამოდ ბატონის მამულში უფასოდ მუშაობას ან სამუდამო პატიმრობას სთავაზობდა. რა თქმა უნდა, განამებულ მოსახლეობას პირველი ერიჩინა და აქედან დარჩა კიდევც ენაში ამგვარი გამოთქმა.

თურქთა ბატონობას უკავშირდება მაგალითად გამოთქმა $\tau\omicron\nu$ $\acute{\epsilon}\kappa\alpha\upsilon\epsilon$ $\tau\omicron\upsilon\sigma\pi\kappa\omicron$, რაც ნიშნავს ვინმე ძალიან გააბრაზაო. გამხეცებული ადამიანი თურქთაგან განამებულმა ბერძნობამ თურქის სახეს დაუკავშირა.

ამგვარი მითოლოგიური თუ ისტორიული წარმომავლობისა თუ შინაარსის სიტყვებისა და გამოთქმების ჩამოთვლა შეუძლებელია ესოდენ მცირე მოცულობის მოხსენებაში და ამჯერად არც წარმოადგენს ჩემს მიზანს. უბრალოდ, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ბერძნული ენის გაკვეთილზე ლექსიკური ერთეულების შესწავლისას შესაძლებელია

Κετεβάν Τσιντσάτζε

ΜΥΘΣΗ ΜΕ ΤΟΝ ΕΛΛΗΝΙΚΟ ΠΟΛΙΤΙΣΜΟ ΜΕΣΩ ΤΩΝ ΜΑΘΗΜΑΤΩΝ
ΤΗΣ ΕΛΛΗΝΙΚΗΣ ΓΛΩΣΣΑΑΣ

Η εκμάθηση μιας νέας γλώσσας συνεπάγεται την επαφή και κατανόηση ενός νέου πολιτισμού, μιας νέας κουλτούρας, τη γνωριμία και συνάντηση με τη νοοτροπία αλλά και τις κατακτήσεις και δημιουργίες του λαού που την ομιλεί. Η σύνδεση γλώσσας και κουλτούρας είναι ιδιαίτερα στενή, ώστε οι έννοιες κουλτούρα και γλώσσα να συνδέονται με άρρηκτο δεσμό. Οι γλώσσες δεν λένε απλώς τα ίδια πράγματα με άλλες λέξεις, αντίθετα, η γλώσσα αποτελεί έκφραση του κόσμου με τον τρόπο που ο κάθε λαός οργανώνει και συλλαμβάνει τον κόσμο. Οι αντιλήψεις, οι πεποιθήσεις, τα ιστορικά βιώματα κάθε λαού αντανακλώνται στη γλώσσα του και περισσότερο στις λέξεις της γλώσσας αυτής.

Στο σύγχρονο κόσμο οι ξένες γλώσσες έγιναν αντικείμενα καθημερινής χρήσης ως μέσα επικοινωνίας και ανάλογα άλλαξαν και οι μέθοδοι της διδασκαλίας τους. Αν παλιά θεωρούνταν ότι η εκμάθηση μίας ξένης γλώσσας σήμαινε την εκμάθηση της γραμματικής της, σήμερα μεγαλύτερη σημασία δίνεται στην διδασκαλία του λεξιλογίου, γιατί όπως το λέει ο Wilkins – χωρίς γραμματική θα καταλάβεις πολύ λίγα αλλά χωρίς το λεξιλόγιο δε θα καταλάβεις τίποτα. Για αυτό στα μαθήματα της ξένης γλώσσας οι εκπαιδευτικοί πρέπει να προσέχουν περισσότερο τις ασκήσεις που βοηθάνε στη βελτίωση του λεξιλογίου.

Από όσα εκτέθηκαν παραπάνω προκύπτει ότι ταυτόχρονα με την εκμάθηση του λεξιλογίου είναι δυνατόν να έρθει κανείς σε επαφή με τον πολιτισμό του λαού τη γλώσσα του οποίου σπουδάζει. Αυτό ισχύει και στην περίπτωση της ελληνικής γλώσσας στην οποία είναι πολύ συχνές οι λέξεις ή εκφράσεις που έχουν μυθολογική ή ιστορική προέλευση.

სიმღერის როლი ბერძნული ენის სწავლების პროცესში

უცხო ენის სწავლებისას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს აკუსტიკური მასალის გამოყენებას. ბერძნული ენის სწავლების პროცესში საკმაოდ პროდუქტიულია ბერძნული სიმღერების გამოყენება. ამ მეთოდის საშუალებით მოსწავლე არა მარტო იმდიდრებს ლექსიკურ მარაგს, იძენს და იღრმავებს გრამატიკულ ცოდნას, არამედ უშუალო კონტაქტში შედის უცხო ენასთან და არ შემოიფარგლება მხოლოდ წიგნთან მუშაობით. ამასთანავე, ეცნობა უმშვენიერეს ბერძნულ მუსიკას.

მაგალითისთვის ავიღოთ სიმღერა "H μάνα του Αλέξανδρου"

1. მოსწავლეებს ეძლევათ სიმღერის ტექსტი, რომელშიც ამოღებულია ზმნები (იხ. გვ. 115-116), (ან ზეთსართავეები, ან არსებითი სახელები (გვ. 116-117). თავდაპირველად ბავშვები უსმენენ სიმღერას, რათა მოხდეს მელოდიის აღქმა და გათავისება. ხელმეორედ მოსმენისას მოსწავლე გამოტოვებულ სიტყვებს ჩასვამს, ხოლო მესამე მოსმენისას აზუსტებს რამდენად სწორად შეავსო გამოტოვებული სიტყვები. ვარჩევთ სიმღერის ტექსტს, ვხსნით უცნობი სიტყვების მნიშვნელობებს. ტექსტის თარგმნისა და შინაარსის გარკვევის შემდეგ, მოსწავლეები უსმენენ და მღერიან სიმღერას. ეს მეთოდი საკმაოდ სახალისო და სასიამოვნოა და ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ამავდროულად უფროსკლასელობათვის გრამატიკის სწავლებისას საკმაოდ შედეგიანია;

ა) მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, მოჰმზონ ტექსტში კიდეც თუ არის ზმნები, გარდა გამოტოვებულებისა. განვიხილავთ არსებულ ზმნებს, თუ რომელ დროსა და პირში არიან კონკრეტულ სიმღერაში. გადაგვყავს ისინი დროებში და შესაბამისად ვაუღლებთ.

მაგ.: პირველ სტროფში გამოტოვებულია მოქმედებითი გვარის ზმნა "γάρπισα - გავიცანი", რომელიც მოცემულია წარსულ (სრულ-αόριστος) დროში, III პირში. მოსწავლემ უნდა დაასახელოს ზმნის საწყისი ფორმა ან-მყო (ενεστώτας) დროში - γαπ(ζ)α - ვიცნობ, შემდეგ, იმპერფექტში (παρτατικός) γαπ(ζ)α - ვიცნობდი. მყისიერი (στυγμιαός μέλλοντας) მო-

მავალი - მია ოარიჲა - გავიცნობ, გახანგრძლივებული (εξαιολ. Μέλλοντα) მომავალი - მია ოარიζა - გავიცნობ ხოლმე. დამხმარე ზმნის "έχα - მაქეს" მეშვეობით უნდა ანარმოოს პერფექტი (παρακειμενος) - έχα ოარიჲი - გაცნობილი მყავს და პლუსკვამპერფექტი (σπερσυντέλιος) - είχα ოარიჲი - გაცნობილი მყავდა. ასევე, დასრულებული მომავალი (συντελεσμένος Μέλλοντα) - მია έχα ოარიჲი - გაცნობილი მეყოლება. გადაიყვანოს ბრძანებით (προστακτική) კილოში - ოარიჲი - გაიცანი, ოარიჲი - გაიცანიო. შემდეგ მოსწავლეები აუღლებენ ზმნას დროების მიხედვით.

ბ) ანალოგიური სამუშაოს ჩატარება შეგვიძლია, თუ სიმღერის ტექსტში ზმნების ნაცვლად ზედსართავებს ან არსებით სახელებს გამოვტოვებთ. მაგ.: (იხ. გვ. 116) პირველ სტროფში გამოტოვებულია ზედსართავი "παιδός-ძველი", რომელიც სიმღერის ტექსტში ნათესაობით ბრუნვაშია - "παιδός", ვმსჯელობთ თუ რითია ეს გამოწვეული, ასევე თუ რომელ რიცხვსა და სქესშია მოცემულ მომენტში და რატომ? განვიხილავთ მას სამივე სქესსა და ფორმაში - παιδός, παιδί, παιδί. გადაგვყავს მრავლობით რიცხვში- παιδιοί, παιδές, παιδιά. ვაბრუნებთ მას. ასეთივე მეთოდით განვიხილავთ არსებით სახელებს (იხ. გვ. 117) და შესაბამისად ვახდენთ მათ ბრუნებას. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მეთოდი განკუთვნილია უფროსკლასელთათვის, რომლებსაც გრამატიკის საკმარისი ცოდნა აქვთ.

2. სასურველია, სამუშაოს შესრულება 3-4 ბავშვისაგან შემდგარ ჯგუფებში. მოსწავლეებს ურიგდებათ სტრიქონებად დაჭრილი, მათთვის უცნობი სიმღერის ტექსტი. მათ აზრობრივად ერთი-მეორეს უნდა დაუკავშირონ სტრიქონები და ააწყონ სიმღერის ტექსტის სწორი ვარიანტი. შემდეგ ვარჩევთ ტექსტს, ვხსნით უცნობი სიტყვების მნიშვნელობებს. დასკვნით ნაწილში ხდება სიმღერის მოსმენა და ბავშვების მიერ მისი შესრულება.

3. მოსწავლეებს ვასმენინებთ უცნობ სიმღერას, ერთხელ სრულად, ხოლო შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტ. მათ უნდა გაიგონ სიმღერის ტექსტი და მოახდინონ მისი ჩანერა. სამუშაოს დასრულების შემდეგ ვახდენთ ტექსტის ორთოგრაფიულ შესწორებას, ასევე ვაზუსტებთ თუ რამდენად სწორად მოხდა მისი ჩანერა და შინაარსის გაგება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთი მეთოდების გამოყენება საკმაოდ შედეგიანია, სწავლების პროცესი უფრო მიმზიდველი და ხალისიანია, მოსწავლე ხდება გაკვეთილის აქტიური მონაწილე. ცოდნის გაღრმავების გარდა, იგი ეცნობა იმ ერის კულტურას, რომლის ენასაც შეისწავლის. მელოდიუ-

რი და გულში ჩამწვდომი ბერძნული სიმღერები უფრო საყვარელსა და ახლობელს ხდის აქამდე მხოლოდ წიგნებში ამოკითხულსა და ამბად გაგონილ შორეულ საბერძნეთს.

Νάτια Τσικλαούρι

Ο ΡΟΛΟΣ ΤΟΥ ΤΡΑΓΟΥΔΙΟΥ ΣΤΗ ΔΙΑΔΙΚΑΣΙΑ ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑΣ ΤΗΣ ΕΛΛΗΝΙΚΗΣ ΓΛΩΣΣΑΣ

Στη διδασκαλία της ξένης γλώσσας είναι πολύ σημαντική η χρησιμοποίηση του ακουστικού υλικού. Στη διαδικασία διδασκαλίας της Ελληνικής γλώσσας η χρησιμοποίηση των ελληνικών τραγουδιών είναι αρκετά αποτελεσματική. Μέσω της μεθόδου αυτής ο μαθητής όχι μόνο βελτώνει το λεξιλόγιό του, αποκτάει και εμβάθυνει της γραμματικές γνώσεις, αλλά και έρχεται σε επαφή με την ζωντανή ξένη γλώσσα και δεν περιορίζεται μόνο με την εργασία με το βιβλίο. Ταυτόχρονα γνωρίζει την ωραία ελληνική μουσική.

Ως παράδειγμα ας πάρουμε το τραγούδι "Μάνα του Αλέξανδρου" :

1. Στους μαθητές δίνονται οι στοιχείοι του τραγουδιού όπου λείπουν τα ρήματα, (ή τα επίθετα ή τα ουσιαστικά). Πρώτα, τα παιδιά μόνο ακούνε το τραγούδι για να γίνει κατανόηση και αφομοίωση της μελωδίας. Την δεύτερη φορά ο μαθητής συμπληρώνει τα κενά. Την τρίτη φορά ελέγχουν πόσο σωστά έχουν συμπληρώσει. Πάρα πέρα εξηγούμε και μεταφράζουμε το κείμενο και στο τέλος τραγουδούμε όλοι μαζί. Η μέθοδος αυτή είναι πολύ ευχάριστη, βοηθά τον μαθητή να εμπλουτίσει το λεξιλόγιό του, ακόμη και να βελτώσει τις γνώσεις του στη γραμματική.

A) Οι μαθητές πρέπει να βρουν όλα τα ρήματα στο κείμενο. Συζητάμε σε ποιο χρόνο και πρόσωπο βρίσκονται τα ρήματα στο συγκεκριμένο τραγούδι, βάζουμε τα ρήματα σε διάφορους χρόνους και τα κλίνουμε.

B) Την ίδια εργασία μπορούμε να πραγματοποιήσουμε αν στους στίχους του τραγουδιού θα λείπουν τα επίθετα ή τα ουσιαστικά. π.χ. (σελ.116) στο κείμενο λείπει το επίθετο "παλιός", που στη συγκεκριμένη περίπτωση

βρίσκεται σε Γενική πτώση. Συζητάμε γιατί; Ακόμη, σε πιο αριθμό και γένος βρίσκεται το επίθετο.

2. Την εργασία κάνουμε σε ομάδες που αποτελούνται από 3-4 παιδιά. Στους μαθητές μοιράζονται οι στίχοι του άγνωστου τραγουδιού, κομμένοι σε προτάσεις. Αυτοί, πρέπει να συνδέσουν τις προτάσεις και να φτιάξουν τους στίχους του τραγουδιού. Ύστερα διαβάζουμε το κείμενο, εξηγούμε και μεταφράζουμε τις άγνωστες λέξεις και στο τέλος τραγουδούμε όλοι μαζί.

3. Τα παιδιά ακούνε το άγνωστο τραγούδι, για μια φορά πλήρως και ύστερα πρόταση με πρόταση. Αυτά πρέπει να καταλάβουν και να γράψουν τους στίχους του τραγουδιού. Στο τέλος της εργασίας ελέγχουμε το κείμενο τόσο νοηματικά, όσο και ορθογραφικά.

Πρέπει να επισημάνω ότι η χρησιμοποίηση αυτών των μεθόδων είναι πολύ αποτελεσματική. Το μάθημα γίνεται ζωντανό και ενδιαφέρον, η συμμετοχή του μαθητή δραστήρια. Εκτός από την εμφάνιση των γνώσεων του, ο μαθητής γνωρίζει τον πολιτισμό της χώρας, τη γλώσσα της οποίας μαθαίνει. Μελωδικά και βαθυστόχαστα ελληνικά τραγούδια κάνουν πιο αγαπημένη και κοντινή, τη μέχρι τώρα μόνο στα βιβλία διαβασμένη και διηγούμενη, μακρινή Ελλάδα.

Η μάνα του Αλέξανδρου

Μουσική Γ. Μαρκόπουλος

Τραγούδι Γ. Νταλάρας

Στη Μακεδονία του παλιού καιρού

..... τη μάνα του Αλέξανδρου

Μου 'στησε κουβέντα στις εξοχές

Κι νυχτέρια με μάγισσες.

Αχ, Μακεδονία χιλιόμορφη

Γιατί και σαν το κερί

Έχω γιο μονάκριβο η καψερή
Έχει για την Ανατολή
Τον κίνδυνοι και χωσιές
Λόγια ανθρώπων μαύρά και συμφορές
Μοναχός τ' αντέχει και τα περνά
τελειωμό δεν τα βάσανα.
Στη Μακεδονία του παλιού καιρού
Γνώρισα τη μάνα του Αλέξανδρου
Στο φεγγάρι για μάγισσες
Στο όνειρό της τους Έλληνες.

Η μάνα του Αλέξανδρου

Μουσική Γ. Μαρκόπουλος

Τραγούδι Γ. Νταλάρας

Στη Μακεδονία του καιρού
Γνώρισα τη μάνα του Αλέξανδρου
Μου 'στησε κουβέντα στις εξοχές
Κι έκανε νυχτέρια με μάγισσες.
Αχ, Μακεδονία

Γιατί κλαις και λιώνεις σαν το κερί
Έχω γιο η καψερή
Έχει φύγει για την Ανατολή
Τον προσμένουν κίνδυνοι και χωσιές
Λόγια ανθρώπων και συμφορές

..... τ' αντέχει και τα περνά
τελειωμό δεν έχουν τα βάσανα.
Στη Μακεδονία του παλιού καιρού
Γνώρισα τη μάνα του Αλέξανδρου
Στο φεγγάρι ψάχνει για μάγισσες
Στο όνειρό της φέρνει τους Έλληνες.

Η μάνα του Αλέξανδρου

Μουσική Γ. Μαρκόπουλος

Τραγούδι Γ. Νταλάρας

Στη Μακεδονία του παλιού καιρού
Γνώρισατου Αλέξανδρου
Μου 'στησε κουβέντα στις εξοχές
Κι έκανε με μάγισσες.
Αχ, Μακεδονία χιλιόμορφη
Γιατί κλαις και λιώνεις σαν
Έχω γιο μονάκριβο η καψερή
Έχει φύγει για
Τον προσμένουν και χωσιές
Λόγια μαύρα και συμφορές
Μοναχός τ' αντέχει και τα περνά
τελειωμό δεν έχουν
Στη Μακεδονία του παλιού καιρού
Γνώρισα τη μάνα του Αλέξανδρου

..... ψάχνει για μάγισσες
..... της φέρνει τους Έλληνες.

Η μάνα του Αλέξανδρου

Μουσική Γ. Μαρκόπουλος

Τραγούδι Γ. Νταλάρας

Στη Μακεδονία του παλιού καιρού
Γνώρισα τη μάνα του Αλέξανδρου
Μου 'στησε κουβέντα στις εξοχές
Κι έκανε νυχτέρια με μάγισσες.
Αχ, Μακεδονία χιλιόμορφη
Γιατί κλαις και λιώνεις σαν το κερί
Έχω γιο μονάκριβο η καψερή
Έχει φύγει για την Ανατολή
Τον προσμένουν κίνδυνοι και χωσιές
Λόγια ανθρώπων μαύρα και συμφορές
Μοναχός τ' αντέχει και τα περνά
τελειωμό δεν έχουν τα βάσανα.
Στη Μακεδονία του παλιού καιρού
Γνώρισα τη μάνα του Αλέξανδρου
Στο φεγγάρι ψάχνει για μάγισσες
Στο όνειρό της φέρνει τους Έλληνες.

ენის სწავლება აქოზიის საშუალებით

ჩვენს სკოლაში ახალი ბერძნული ენის სწავლებისას ძირითად სახელმძღვანელოდ ვიყენებთ: "ვსწავლობ ბერძნულს" ("Μαθαίνω Ελληνικά"). ავტორები: ნიგნი I ს. შამანიდი, თ. ბაკურაძე, ნიგნი II, III, IV, V, და VI: ს. შამანიდი, მ. ქამუშაძე.

ამავდროულად, საშუალო და მაღალ საფეხურზე, გაკვეთილების მრავალფეროვნებისთვის, სსედასხვა ტექნიკურ საშუალებასთან ერთად, დამატებით ვსარგებლობთ რიგი სახელმძღვანელოებით, მათ შორის ა. ჩიქოვანის, დ. ნოლასის "ქართული პოეზიის ანთოლოგიით" ("Ανθολογία γεωργιανής ποίησης"). ნიგნი მოიცავს მე-19-20 საუკუნეების ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. სწორედ ამ პერიოდის ქართულ მწერლობას გადიან მშობლიურ ლიტერატურაში მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები სასკოლო პროგრამით. შეგვიძლია რომელიმე ლექსი, რომელიც ბავშვებს უკვე შენავლილი აქვთ ქართულად, შევარჩიოთ მოსწავლეებთან ერთად და გავეცნოთ ბერძნულ თარგმანს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ვაჟაფშაველას ლექსი "არწივი". იგი არც ისე დიდია მოცულობით და სრულიად საკმარისია ერთ გაკვეთილზე განსახილველად. მოსწავლეები ჯერ იხსენებენ ლექსის შინაარსს ქართულად შემდეგ კი ტექსტს ვკითხულობთ ბერძნულად.

Είδα τον λαβωμένο αητό στο χάμα,

Να μάχεται τα όρνια.

Ήθελα 'ο δόλιος στα ποδιά να σταθεί

Μα δεν μπορούσε ο μαύρος

Στον κονιορτό τι μια φτερούγα έσερνε

Το αίμα του όλο πληγές το στήθος του να πλημμυρίζει.

"Της μάνας σας να πάρει, της συμφοράς κοράκια

Μέχετε του χεριού σας

Αλλιώς τα πούπουλα σας τώρα θα 'βλεπα

Μακριά πάνω απ' την κοιλάδα να σκορπίζουν."

მოსწავლეები ცდილობენ ტექსტის თარგმნას. უცნობი სიტყვები გადაგვაქვს ლექსიკონში ესენია: λαβωμένος, ο αιχτός, δόλιος, κονιορτός, η φτερούγα, έσερνε, η πληγή, η συμφορά, το κοράκι, το πούλσυλο

შემდეგ ვაძლევ წერით დავალებას: გაკვეთილზევე ტექსტში იპოვონ ზმნები და გადაიყვანონ ახლანდელ დროში და გარკვეული დროის მერე ერთად ვამოწმებთ.

ეს ზმნებია: είδα – βλέπα, ήμελε – θέλει, μπορούσε – μπορεί, έσερνε – σέρνει

ვცდილობთ, ლექსი ვისწავლოთ გაკვეთილზევე და მისი განმტკიცება იქნება საშინაო დავალება. შინ მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ არსებითი სახელები და შეუცვალონ მათ რიცხვი.

გაკვეთილის შედეგია: 10 ახალი სიტყვა, ვიმეორებთ ზმნების უღლებას და არსებითი სახელის რიცხვს.

ვფიქრობ, ჩვენი გამოცდილება სხვა ბერძნული ენის პედაგოგებსაც დააინტერესებთ.

Τέα Τσιγλάτζε

Η ΠΟΙΗΣΗ ΣΤΗ ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑ ΤΗΣ ΝΕΟΕΛΛΗΝΙΚΗΣ ΓΛΩΣΣΑΣ

Στο σχολείο μας το γενικό εγχειρίδιο με το οποίο διδάσκεται νέα ελληνικά είναι η σειρά των διδακτικών βιβλίων της Σ. Σιαμανίδου και της Μ. Καμουσάτζε "Μαθαίνω Ελληνικά", όμως χρησιμοποιούμε και τα άλλα τεχνικά μέσα και βιβλία για να κάνουμε τα μαθήματα διαφορετικά και πιο ενδιαφέροντα.

Το βιβλίο που μας βοηθά πολύ στο μέσο και προχωρημένο επίπεδο είναι "Ανθολογία Γεωργιανής Ποίησης. 19^{ος}-20^{ος} αιώνας". της Άνι Τσικοβάνι και του Δημήτρη Νόλλα. Το βιβλίο περιέχει τα ωραιότερα έργα των κλασικών Γεωργιανών συγγραφέων. Οι μαθητές της 10^{ης} και της 11^{ης}

τάξης τα έχουν μάθει στο πρόγραμμα γεωργιανής λογοτεχνίας. Μ αζί τους μπορούμε να διαλέξουμε ένα ποίημα. Για παράδειγμα το ποίημα "Ο ΛΗΤΟΣ" του Βάζα-Πσαβέλα, που δεν είναι μεγάλο και μπορούμε να το αναλύσουμε σε ένα μάθημα.

Διαβάζουμε το κείμενο στα ελληνικά:

Είδα τον λαβωμένο αητό στο χώμα,

Να μάχεται τα όρνια.

'Ηθελ' ο δόλιος στα πόδια να σταθεί

Μα δεν μπορούσε ο μαύρος

Στον κονιορτό τι μια φτερούγα έσερνε

Το αίμα του όλο, πληγές το στήθος του να πλημμυρίζει.

"Της μάνας σας να πάρει, της συμφοράς κοράκια

Μ'έχετε του χεριού σας

Αλλιώς τα πούπουλά σας τώρα θα'βλεπα

Μακριά πάνω απ'την κοιλάδα να σκορπίζουν".

Ψάχνουμε τις άγνωστες λέξεις, μεταφράζουμε. Μετά βρίσκουμε τα ρήματα, τα κλίνουμε. Στο τέλος του μαθήματος τα παιδιά ξέρουν 10 καινούριες λέξεις, κάνουμε επανάληψη της κλίσης ρημάτων. Στο σπίτι θα προσπαθήσουν να μάθουν το ποίημα απέξω. Νομίζω η εμπειρία μας θα βοηθήσει και τους άλλους δασκάλους στη διδασκαλία της νεοελληνικής γλώσσας.